



15

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 29/00

„18“ „აპრი“ 2010

ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ჯერენაშვილი

„18“ „აპრი“ 2010 წელი

ეგზ. N2

ობიექტი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური (კამერალური) აუდიტი
პერიოდი: 01/01/09-01/01/10



საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური(კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური
(კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ. 4
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ. 4
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ. 5
1.3 გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;	გვ. 6
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;	გვ. 8
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ. 8
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუზისმგებლობები და უფლებამოსილებანი	გვ. 9
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 9
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.	დანართი A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.	დანართი B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №37/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მაჩაბლის №11

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი);
აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

აპარატი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (ორგანიზაციული კოდი 40 00).

სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში “აპარატი”) შექმნილია “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

- აპარატის ძირითადი ამოცანებია სახალხო დამცველის საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, ანალიტიკური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება.

- აპარატის სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ ცალკეული სფეროების მიხედვით საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ამ დებულების საფუძველზე შექმნილ სამსახურებს, რომლებიც ფინანსდებიან აპარატის ბიუჯეტიდან.

- აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით “სახალხო დამცველის შესახებ”, სახალხო დამცველის აპარატის დებულებით, სახალხო დამცველის აპარატის შინაგანაწესით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით და ნორმებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

- აპარატის სტრუქტურა, ფუნქციები, ორგანიზაცია და მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით “სახალხო დამცველის შესახებ”, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შინაგანაწესით და მისივე დებულებით.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

სახალხო დამცველის აპარატს 2009 წლის ბიუჯეტის კანონით კოდი N40 02 01-ზე დამტკიცებული ჰქონდა უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის დახმარება“(UNDP) 683,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის 280,0 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო თანადაფინანსებას, რომელიც ასახულია „სხვა ხარჯების მუხლში“ დონორების მიერ გაეროს განვითარების პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრები ირიცხება გაეროს განვითარების პროგრამის საბანკო ანგარიშზე სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო ანგარიშის გვერდის ავლით, ხოლო რაც შეეხება თანადაფინანსების თანხებს – გადარიცხულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატი წლის ბოლოს თანხების ხარჯებში ჩამოწერას ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე და შესაბამისად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები სახალხო დამცველის აპარატის ბუღალტერიაში არ მოიპოვება. აგრეთვე არ მოიპოვება თანადაფინანსებით გადარიცხული 280,0 ათასი ლარის ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

III. ძირითადი ტექსტი.

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

„2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრების და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის № 139 დადგენილებით 2009 წლისათვის აპარატს (ორგანიზაციული კოდი 40 00) კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 60 ერთეულით, ასიგნებების ზღვრული მოცულობა 1400.0 ათასი ლარით. საბიუჯეტო განაცხადი აპარატის მიერ წარდგენილ იქნა 2008 წლის 15 აგვისტომდე, რომლითაც ასიგნების მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 2080.0 ათასი ლარით, მომუშავეთა რიცხოვნობა 60 ერთეულით. წარდგენილ განაცხადში ასიგნების ზრდა გამოწვეულია უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებების (680.0 ათასი ლარით) მატებით.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (30/12/08; № 945) აპარატს განესაზღვრა მთლიანი ასიგნება 2080.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მომუშავეთა რიცხოვნობა 60 ერთეულით. 2009 წლის განმავლობაში მიღებული აქვთ 64,7 ათასი ლარის გრანტი და აპარატის ასიგნებამ 2 144,7 ათასი ლარი შეადგინა (მათ შორის 20,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები)

სახალხო დამცველის აპარატს 2009 წლის ასიგნების მთლიან მოცულობაში ფინანსთა სამინისტროს თანხმობით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

/ათას ლარში/

მუხლებს შორის გადანაწილება		თანხა
არაფინანსური აქტივები	10.03.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №68	-2,0
საქონელი და მომსახურება		-10,1
ვალდებულებების კლება		12,1
ვალდებულებების კლება	31.03.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №285	-12,1
საქონელი და მომსახურება		12,1
არაფინანსური აქტივები	23.06.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №297	-4,6
საქონელი და მომსახურება		4,6

საქონელი და მომსახურება	14.12.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №742	-12,1
არაფინანსური აქტივები		-4,1
სხვა ხარჯები		-0,7
შრომის ანაზღაურება		16,9

აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 51³-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მუხლობრივი გადანაწილების მოცულობა არ აღემატება მთლიანი ასიგნებების 10%-ს.

ბ) დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

ეკონომიური კლასიფიკაციის მიხედვით მუხლობრივმა გადანაწილებამ მიიღო შემდეგი სახე: (იხ. ცხრილი №1)

ცხრილი № 1

(ათას ლარებში)

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიური საკასო ხარჯებს შორის
მთლიანი ასიგნება	2124,7	2135,4	1929,3	1929,2	1929,2	2115,4	186,2
მათ შორის							
შრომის ანაზღაურება	865,0	881,9	881,9	881,9	881,9	882,3	0.4
თანამდებობრივი სარგო			789,6	789,6	789,6	789,6	0.0
პრემია			54,8	54,8	54,8	54,8	0.0
დანამატი			14,1	14,1	14,1	14,5	0.4
საქონელი და მომსახურება	568,7	563,1	557,3	557,3	557,3	569,4	12,1
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			177,8	177,8	177,8	177,8	0.0
მივლინებები			63,4	63,4	63,4	63,4	0.0
ოფისის ხარჯები			164,2	164,2	164,2	176,6	12,4
წარმომადგენლობითი ხარჯები			14,6	14,6	14,6	14,3	- 0,3
სამედიცინო ხარჯები			0,8	0,8	0,8	0,8	0.0

ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები			85,7	85,7	85,7	85,7	0.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			50.9	50.9	50.9	50.9	0.0
ძირითადი კაპიტალის მოხმარება						135.8	135.8
სოციალური უზრუნველყოფა	8.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0	0.0
სხვა ხარჯები	683,0	682,2	481,9	481,9	481,9	519,8	37,9
სხვადასხვა ხარჯები	683,0	682,2	481,9	481,9	481,9	519,8	37,9
არაფინანსური აქტივები	20.0	9.2	9.2	9.2	9.2	-	-
მანქანა დანადგარები და ინვენტარი			0.9	0.9	0.9	-	-

ფაქტიური ხარჯის მეტობა 186,2 ათასი ლარით საკასო ხარჯთან შედარებით გამოწვეულია შემდეგით:

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლში 0,4 ათასი ლარით ფაქტიური ხარჯის მეტობა საკასო ხარჯთან შედარებით გამოწვეულია თანამშრომლებზე ერთჯერადად გაცემული სატელეფონო სასაუბრო ბარათების საშემოსავლო გადასახადის დარიცხვით.
- „ოფისის ხარჯებში“ 12,4 ათასი ლარით ფაქტიური ხარჯის მეტობა საკასო ხარჯთან შედარებით გამოწვეულია წინა წლის მარაგების მიმდინარე წელს ხარჯვით.
- „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლში 0,3 ათასი ლარით ფაქტიური ხარჯის ნაკლებობა საკასო ხარჯთან შედარებით გამოწვეულია მარაგების შეძენით.
- „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში 135,8 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი წარმოადგენს 2009 წელს არაფინანსურ აქტივებზე დარიცხული ცვეთა.
- „სხვა ხარჯების მუხლში“ 37,9 ათასი ლარით ფაქტიური ხარჯის მეტობა საკასო ხარჯთან შედარებით გამოწვეულია გამოწვეულია „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში“ პროექტის მიერ, სააუდიტო პერიოდში თანხების არასრულად ათვისებით.

აპარატის პერსონალსა და მის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები:

(ათას ლარებში)

ხარჯი	ერთეული	ხარჯი 2009 წლის განმავლობაში	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	60	789,6	1.1
პრემია	60	54,8	0.07
საკომუნიკაციო ხარჯი	23	31,5	0.1
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	21	48,2	0.2
ტექნომომსახურება	21	39,0	0.15

გ) გრანტების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;

სახალხო დამცველის აპარატს მიღებული აქვს შემდეგი გრანტები, კერძოდ:

№	გრანტის დასახელება		დამტკიცებული ბიუჯეტით	ფაქტიურად მიღებულია
1	2	3	4	5
	ფულადი გრანტები			
1	ხელშეკრულება: "საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის პოტენციალის განვითარება" #8.4.3.-97/1 2008 წლის 12 მარტი	დონორი: "ლიტვის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში"	997.17	997.17
2	ხელშეკრულება: "არაფორმალური სწავლების საკვირაო სკოლა" № 241326 01 აგვისტო 2008 წელი	დონორი ევროსაბჭო,	1950.15	1950.15

3	ხელშეკრულება: "ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობის განხორციელება ადამიანის უფლებების დღესთან დაკავშირებით" 06 ნოემბერი 2008 წ. №119/11/2008	დონორი "გაეროს განვითარების პროგრამა"	5508.54	5508.54
4	დონორი: "გაეროს ბავშვთა ფონდი" ხელშეკრულება: "ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა ქვემო ქართლის რეგიონში" 31 ივლისი 2008წ.	დონორი: "გაეროს ბავშვთა ფონდი"	3203.64	3203.64
5	ხელშეკრულება "ჯავახეთში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა სკოლის მართვის დემოკრატიზაციის გზით" № INTCE/SCI/03/08 - 15628 04 ივნისი 2008წ.	დონორი: "ფონდი ღია საზოგადოება საქართველო"	336.48	336.48
6	ხელშეკრულება "ახალგაზრდული დისკუსიები ღია საზოგადოებისთვის" № int CE/02/09 - 16186 07 მაისი 2009წ.	დონორი: "ფონდი ღია საზოგადოება საქართველო"	10143.69	10143.69
7	განათლების სექტორის დასახმარებლად, კერძოდ, ხაშურში 300 მასწავლებლის მოსამზადებლად, რომ მათ შეძლონ სტრესისა და ტრავმის სიმფტომების იდენტიფიკაცია, რაც ხელს შეუწოებს მოსწავლეების ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას" №002/2009 26 აპრილი 2009წ. დონორი	დონორი "გაეროს ბავშვთა ფონდი"	8735	8735
8	"სამოქალაქო განათლების პროექტის განსახორციელებლად შიდა ქართლში" №003/2009 12 ივნისი 2009წ.	დონორი: "გაეროს ბავშვთა ფონდი"	5886	5886

9	"შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის სისტემის რეფორმის ხელშეწყობა" № LL/03/09 - 16193 19 მაისი	დონორი: "ფონდი ღია საზოგადოება საქართველო"	27883.11	27883.11
				64643.78

სახალხო დამცველის აპარატს 2009 წლის ბიუჯეტის კანონით კოდი N40 02 01-ზე დამტკიცებული ჰქონდა უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის დახმარება“(UNDP) 683,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის 280,0 ათასი ლარი შეადგენს სახელმწიფო თანადაფინანსებას, რომელიც ასახულია „ სხვა ხარჯების მუხლში“ დონორების მიერ გაეროს განვითარების პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრები ირიცხება გაეროს განვითარების პროგრამის საბანკო ანგარიშზე სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო ანგარიშის გვერდის ავლით, ხოლო რაც შეეხება თანადაფინანსების თანხებს – გადარიცხულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ. საკასო ხარჯი გაწეული იქნა 481,9 ათასი ლარის, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა 519,8 ათასი ლარი შეადგინა(სხვაობა ფაქტიურ და საკასო ხარჯს შორის 37,9 ათასი ლარი, გამოწვეულია გაეროდან ფაქტიური ხარჯვის ცნობის დაგვიანებით წარმოდგენით).

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატი წლის ბოლოს თანხების ხარჯებში ჩამოწერას ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე და შესაბამისად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები სახალხო დამცველის აპარატის ბუღალტერიაში არ მოიპოვება. აგრეთვე არ მოიპოვება თანადაფინანსებით გადარიცხული 280,0 ათასი ლარის ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) არაფინანსური აქტივების ცვლილება;

სახალხო დამცველის აპარატს „არაფინანსური აქტივებისა“ მუხლით დამტკიცებული ქონდა 20,0 ათასი ლარი. ვალდებულებამ და საკასო ხარჯმა 9,2 ათასი ლარი შეადგინა. ხარჯი გაწეულია „მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლით. შეძენილია კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და სხვა.

ბ) დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა: (იხ. ცხრილი № 3)

ცხრილი № 3

(ათას ლარებში)

დავალიანების დასახელება	2009. წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010. წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ზრდა/შემცირება საანგარიშო პერიოდში
დებიტორული დავალიანება	50,0	12,2	37,8
კრედიტორული დავალიანება	369,7	357,6	12,1

წინა პერიოდის კრედიტორული დავალიანება შემცირდა 12,1 ათასი ლარით, კერძოდ: სახალხო დამცველის აპარატს 2004 – 2006 წლებში წარმოექმნა „თბილისის წყლის“ მიმართ კრედიტორული დავალიანება 12,1 ათასი ლარის ოდენობით. რის საფუძველზეც მათ მიერ მოხდა დავალიანების რესტრუქტურირება და თანხის დაფარვა განახორციელეს „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან.

2009 წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 50,0 ათას ლარს. წლის განმავლობაში დაფარული იქნა 37,8 ათასი ლარის დავალიანება და 2010 წლის 1 იანვრისათვის დებიტორულმა დავალიანებამ 12,2, ათასი ლარი შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები წარდგენილია სრულად. ამასთან ერთად წლიური ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი) წარდგენილია აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

IV აუდიტის (ანალიზი) აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუზისმგებლობები და უფლებამოსილება.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.

უფროსი აუდიტორი:

თამაზი გურგენიძე

ხელმოწერა/თარიღი

თ.  18.05.105.

აუდიტორი:

გიორგი მშვილდაძე

 18.05.105.

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.

თემატური, კამერალური აუდიტის (ანალიზი) პერიოდში, აპარატში, პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

სოზარ სუბარი - საქართველოს სახალხო დამცველი 2009 წლის 16 სექტემბრამდე

გიორგი ტულუში - საქართველოს სახალხო დამცველი 2009 წლის 17 სექტემბრიდან

სოფიო ხურგიანი - საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე 2009 წლის 26 იანვრამდე

გიორგი ჩხეიძე - საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე 2009 წლის 22 სექტემბრამდე

ტატიანა ხუნწარია - საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე 2009 წლის 1 ოქტომბრიდან

ბეჟან თურმანიძე - ადმინისტრაციული და ფინანსური სამსახურის უფროსი

მარიამ კვიციანი - მთავარი ბუღალტერი

დანართი B - გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

აუდიტის (ანალიზი) პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;
- ფინანსთა მინისტრის საქართველოს კანონი „გრანტის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ფორმების დამტკიცების შესახებ“.
- ბალანსები და მისი დანართები; ხარჯთანუსხის შესრულების ანგარიში; ფინანსთა სამინისტროს წერილები.